



# ქვიშაპოლიმერულ ნაკეთობათა საწარმოო უბნის მოწყობის

შემსრულებელი: შპს „სამნი“  
დირექტორი: თ. კეპულაძე  
მობ.: 5 91 15 72 72

შპს „ტექნოლოგი“  
დირექტორი: ლ. ბერეჩიკიძე  
მობ.: 5 98 15 94 15

ქუთაისი 2021

## შინაარსი

1. შესავალი .....	2
2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.....	3
3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი .....	10
4. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი. ....	10
4.1. საჭირო ნედლეული და მასალები.....	12
4.2. გამოშვებული პროდუქცია .....	13
4.3. დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესების აღწერა .....	14
5. წყალმომარაგება კანალიზაცია .....	14
6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში.....	15
6.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება .....	15
6.2. ხმაურის ზემოქმედება.....	17
6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე .....	20
6.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე .....	20
6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	20
6.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.....	21
6.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.....	22
6.8. სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	22
6.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე, ავარიული რისკები .....	22
6.10. კუმულაციური ზემოქმედება .....	23
6.11. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება .....	24
7. უბნის მოწყობის და ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი .....	25
და ნ ა რ თ ე ბ ი .....	26
დანართი 1. საჯარო რეესტრის ამონაწერი.....	27
დანართი 2. იჯარის ხელშეკრულება.....	30

# 1. შესავალი

შპს „ტექნოლოგი“-ს (ს/კ 412760196), ქუთაისში, სულხან საბას გამზირი №12, ნაკვეთი №1-ში, განთავსებული აქვს ლითონის მექანიკური დამუშავების ობიექტი, რომელიც საქართველოს მთავრობის 17.01.2018წ. №17 დადგენილებით, „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №42 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად არ ექვემდებარება ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას. კომპანია იგივე ფართში გეგმავს ქვიშაპილიმერულ ნაკეთობათა უბნის მოწყობა-ექსპლუატაციას, რომელშიც ნელდელად გამოიყენებს მეორად პოლიპროპილენს.

რადგან საწარმოს ნედლეული (მეორადი პოლიპროპილენი) წარმოადგენს ნარჩენების წინასწარი დამუშავებით მიღებულ მასალას (R12), საქმიანობა განიხილება როგორც ნარჩენების აღდგნა, რომელიც საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.3. პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობაა და იგივე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

აღნიშნულის გათვალისწინებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ.


<b>ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ</b>	
ქარხნის ოპერატორი კომპანია	შპს „ტექნოლოგი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №33. ბ 7.
საქმიანობის განხორციელების მისამართი	ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №12. ნაკვეთი №1
საქმიანობის სახე	ქვიშაპოლიმერულ ნაკეთობების წარმოება
დირექტორი	ლევანი ბერეჩიკიძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 98 15 94 15
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი“
პროექტის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 91 15 72 72
<b>დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები</b>	
პროექტის განხორციელების ადგილი	ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №12. ნაკვეთი №1
განთავსების ადგილი	შპს „სტილ საქართველოსაგან“ იჯარით აღებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკ. კოდი.03.05.04.134.
<b>საპროექტო წარმადობა</b>	
ქვიშაპოლიმერული ნაკეთობები	50 ტ/წელ
ლითონის ნაკეთობები	60 ტ/წელ
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	250
ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში, სთ	8
დაშორება უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან	57 მ

## 2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა

შპს „ტექნოლოგი“-ს პლასტმასის (ქვიშაპოლიმერულ) ნაკეთობათა უბნის განთავსება იგეგმება ქ. ქუთაისში, სულხან-საბას გამზირზე, ქალაქის სამრეწველო უბანში, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 03.05.04.134 (დანართი 1)) იჯარით აღებულ შენობაში (1.2 (დანართი 2.)) არსებული მეტალის მექანიკური დამუშავების საამქროში. ტერიტორია გასული საუკუნიდან ათვისებული იყო სამრეწველო მიზნით. საპროექტო ტერიტორიის განთავსება მოცემულია ნახაზი 1-ზე.


ტერიტორიას დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სოფ. ქვიტირის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან განთავსებულია სოფ. ზედა მესხეთის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ქ. ქუთაისის ტერიტორია.

ნახაზი 1.



მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ორი შენობა (1/1 და 1/2). 1/1-შენობაში ფუნქციონირებს პროფილირებული თუნუქის საწარმო (სურათი 1). მიწის ნაკვეთისა და განსახილველი შენობის GPS კოორდინატები მოცემულია ნახაზზე 2 და ცხრილებში 2 და 3.

ნახაზი 2.



ცხრილი 2.

მიწის ნაკვეთის კოორდინატები		
№	X	Y
1	306705	4678548
2	306663	4678477
3	306709	4678450
4	306763	4678536
5	306737	4678551
6	306727	4678535

ცხრილი 3.

იჯარით აღებული შენობის კოორდინატები		
№	X	Y
1	306706	4678527
2	306679	4678481
3	306695	4678473
4	306723	4678518



სურათი 1. თუნუქის საამქრო

კომპანიის მიერ იჯარით აღებული შენობა აგებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში, მასში განთავსებული იყო სამკერვალო ფაბრიკა, რომლის გაუქმების შემდეგ ფართი გამოიყენებოდა სასაწყობო მეურნეობად. შენობა წარმოადგენს წერტილოვან საძირკვლებზე დაფუძნებულ, რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციებით აშენებულ ერთიან სივრცეს, რომლის კედლები ასევე რკინაბეტონისაა (სურათი 2).



სურათი 2. შპს ტექნოლოგის იჯარით აღებული შენობა

შპს „ტექნოლოგს“ იჯარით აღებული აქვს შენობის სამხრეთი ნაწილი. შესასვლელი მოწყობილია სამხრეთის მხრიდან.

ტერიტორიაზე გზა შემოდის სულხან-საბას გამზირიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან (ნახაზი 3). საწარმოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 235 მ-ის დაშორებით განთავსებულია სულხან-საბას დასახლება (სურათი 3).

განსახილველი შენობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი განთავსებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს 57 მ-ის დაშორებით, ხოლო დასავლეთის მხრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 64 მ-ით (სურათი 4.).



სურათი 3.



სურათი 4.

ტერიტორია შემოღობილია 2,5 მ. სიმაღლის ბეტონის მასიური ღობით (სურათი 5), რომელსაც ყველა მხრიდან გარს აკრავს ხე-მცენარეების ზოლი. ეზოს ტერიტორია გამოყენებულია სამშენებლო მასალების საწყობად (სურათი 6).



სურათი 5.



სურათი 6.

ტერიტორიის ჩრდილოეთით, შენობიდან 60 მ-ის დაშორებით განთავსებულია სადურგლო საამქრო (სურათი 7), ჩრდილო-აღმოსავლეთით (100 მ-ის დაშორებით) ქ. ქუთაისის ქალაქის ავტობუსების სადგომი (სურათი 8.).



სურათი 7.



სურათი 8.

ტერიტორიის სიტუაციური გეგმა და ინფრასტრუქტურის ელემენტები მოცემულია ნახაზებზე 3 და 4.



ნახაზი 3. საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური გეგმა.



ნახაზი 4. არსებული ინფრასტრუქტურის ელემენტები



### 3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი

საწარმო იმუშავებს ერთცვლიანი სამუშაო რეჟიმით, 8 საათიანი სამუშაო დღითა და 5 დღიანი სამუშაო კვირით, წელიწადში 250 დღე.

საწარმოს საპროექტო (მაქსიმალური) წარმადობაა:

- 200 კგ ექვიპოლიმერული ნაკეთობა დღეში (25 კგ/სთ), და 50 ტ/წელ-ში.
- 240 კგ ლითონის ნაკეთობა დღეში (30 კგ/სთ). 60 ტ/წელ.

საპროექტო პარამეტრების მისაღწევად საწარმოს საათში დაჭირდება 8.50 კგ მეორადი პოლიპროპილენი (70 კგ/დღ); 16,25 კგ/სთ. კალციტის ფხვნილი (130 კგ/დღ) და 0,25 კგ/სთ ბაზალტის ბოჭკო (2 კგ/დღ).

საწარმოში სულ დასაქმებულია 7 ადამიანი, მათგან 3 იმუშავებს ნაკეთობათა ფორმირებაზე, დანარჩენი სხვადასხვა კვალიფიკაციის დამხმარე მუშები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

### 4. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესები მთლიანად განთავსდება დახურულ, კაპიტალურ შენობაში, რომელშიც გასულ საუკუნეში ფუნქციონირებდა სამკერვალო ფაბრიკა, ხოლო გასულ წლებში სასაწყობო მეურნეობა.

ამჟამად შენობაში ფუნქციონირებს შპს „ტექნოლოგი“-ს ლითონის ნაკეთობათა საწარმო, რომელშიც ფურცლოვანი ლითონით მზადდება სხვადასხვა ნაკეთობები. გამოყენებულია შემდეგი დანადგარები: გილიოტინა, მოსალუნი და საწნეხი დაზგა, წნეხი, ელექტრო სახეხი (სალესი). საწარმოში კეთდება მცირე ზომის ლითონის ნაკეთობები (ტექნიკური კარადები, ყუთები). აღნიშნული წარმოება საქართველოს მთავრობის 17.01.2018წ. №17 დადგენილებით, „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №42 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად არ ექვემდებარება ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას.


დაგეგმილი წარმოების ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარებია: ერთი ექსტრუდერი; ნედლეულის შესარევი ავზი; 3 წნეხი; ყალიბები; ტექნოლოგიური მაგიდა.

ნედლეულისა და პროდუქციის დასასაწყობებლად გამოყენებულია შენობის შიდა, თავისუფალი სივრცე.

იჯარით აღებული ფართის ჩრდილოეთ ნაწილში მოწყობილია მუშა-მოსამსახურეთა სათავსო, სველი წერტილები.

საწარმოში არსებული და საპროექტო დანადგარების განლაგების სქემა და ექსპლიკაცია მოცემულია ნახაზი 5-ზე.

ნახაზი 5. გენ-გეგმა.



ექსპლიკაცია: 1. საწყობი; 2. ფილერის განთავსების ადგილი; 3. გილიოტინა; 4. ლითონის მოსალუნი დაზგა (APH3106x120); 5. ლითონის მოსალუნი დაზგა (10 ტონიანი); 6. წნეხი KB20-2A; 7. ვერტიკალური ბურღი; 8. სახეხი; 9. შედუღების პოსტი; 10. ჰიდრავლიკური წნეხი; 11. ექსტრუდერი; 12. ჰიდრავლიკური წნეხი; 13. ჰიდრავლიკური წნეხი; 14. შემრევი; 15. გამწოვი ქოლგა; 16. გამწოვი ვენტილატორი.

#### 4.1. საჭირო ნედლეული და მასალები

დაგეგმილი საწარმოს ტექნოლოგიური პროცესებისათვის გამოიყენება შემდეგი ძირითადი ნედლეული და მასალები:

1. პოლიპროპილენის (მეორადი) გრანული;
2. კალციტი;
3. ბაზალტის ბოჭკო.

საჭირო მარკის პროდუქციის მისაღებად ნედლეულის პროცენტული თანაფარდობა და სავარაუდო რაოდენობები მოცემულია ცხრილში 4.

ცხრილი 4.

№	ნედლეულის დასახელება	%–ული შემადგენლობა	საშუალო რაოდენობა	
			კგ/დღ	ტ/წელ
1	პოლიპროპილენის გრანული	30-40	70	17,5
2	კალციტის ფხვნილი	60-70	130	32,5
3	ბაზალტის ბოჭკო	1	2	0,5

ნედლეულის შეძენა მოხდება ბაზარზე არსებული მომწოდებლებისაგან. პირველ ეტაპზე ნედლეულის შესყიდვა დაგეგმილია შპს „თორი“-საგან, რომელსაც შესყიდული აქვს ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე არსებული კომპანია შპს „ფრემ-ჯორჯია“-საგან და დარჩენილი აქვს ნაშთის სახით (სურათი 9 და 10). ნედლეული ნაწარმოებია კორეული კომპანია „sk global chemical“ -ის მიერ, სასაქონლო კოდი - 39159011 - Prop პროპილენის პოლიმერები.



სურათი 9.



სურათი 10.

საწარმოში გამოყენებული იქნება მეორადი პოლიპროპილენის გრანული (ჩიფსი), რომელიც მიიღება პლასტმასის ნარჩენების წინასწარი მექანიკური დამუშავებით (მაგ. დახარისხება, დამსხვრევა, დაპრესვა, გრანულირება). სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვი ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ N426 დადგენილების შესაბამისად ნარჩენის კოდი იქნება 19 12 04. საწარმოში მისი აღდგენის კოდია R3 .

კალციტის ფხვნილი შემოიტანება ნაყარის სახით (შესაძლებელია შეფუთული იყოს ქაღალდის ტომრებში).

ლითონის ნაკეთობათა უბაზე ძირითადი ნედლეულია ფურცლოვანი ლითონი, რომელიც შესყიდული იქნება ბაზარზე არსებული მომწოდებლებისაგან. წლის განმავლობაში საჭირო ნედლეულის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 61 ტ ფურცლოვანი ლითონი.

პროდუქციის საწარმოებლად აუცილებელია ენერგო რესურსები, რომლის მოწოდებაც გათვალისწინებულია ენერგო-პრო ჯორჯიას არსებული განამაწილებელი ქვესადგურიდან.

საჭირო ადამიური რესურსები მოძიებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობიდან.

## 4.2. გამოშვებული პროდუქცია

საწარმოს გამოშვებული პროდუქცია წარმოადგენს ტექნიკური დანიშნულების ნაკეთობები, როგორცაა საკანალიზაციო ჭის თავები, ელექტრო და წყლის მრიცხველების კარადები.

დამზადებული პროდუქციის ზომები და ფორმები დამოკიდებულია დამკვეთზე.

საწარმოს ნაწარმოები პროდუქცია არ გამოიყენება საყოფაცხოვრებო დაბინძურებით.

### 4.3. დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესების აღწერა

არსებული ლითონის ნაკეთობათა საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს: ნედლეულის-ლითონის ფურცლების დაჭრას საჭირო ზომებად, რომელიც ხორციელდება გილიოტინაზე. ზომებად დაჭრილი მასალა ფორმირდება საღუნ დაზგაზე. სხავდასხვა ზომის ბურღით უკეთდება ნახვრეტები, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება წერტილოვანი შედუღება. ნაკეთობის აწყობის შემდეგ ხდება ნაწიბურების გახეხვა.

ქვიშაპოლიმერული ნაკეთობების დამზადება ხდება უმარტივესი ტექნოლოგიური პროცესით, მარტივ დანადგარებზე, შემდეგი თანმიმდევრობით:

ნედლეული შემოიზიდება ავტოტრანსპორტით და თავსდება მათთვის განკუთვნილ ბაქანზე, საიდანაც მოთხოვნილების შესაბამისად ხელის ურიკით გადაიტანება და იყრება შემრევ ავზში. ავზი წარმოადგენს ლითონის ოვალურძირიან (ღარისებურ) მოცულობას. ნედლეულის ჩაყრა ხდება წონითი რაოდენობით. ერთჯერზე ხდება 100 კგ ნარევის მიღება, რისთვისაც ავზში იყრება 30-დან 40 კგ-მდე (საშუალოდ 35 კგ) პოლიპროპილენის გრანული (ან ჩიფსი), 60-დან 70 კგ-მდე (საშუალოდ 65 კგ) კალციტის ფხვნილი და 1 კგ-მდე ბაზალტის ბოჭკო, ერთმანეთში ერევა ხელის ნიჩბით.

შერეული ნედლეული ხელის ჩამჩით იყრება ექსტრუდერის ბუნკერში და მიეწოდება წნეხს. ექსტრუდერი ცხელდება ელ.ენერგიის ხარჯზე 130<sup>0</sup>-მდე, იწნეხება და იზილება ხრახნული გადამტანით. ექსტრუდერის მეორე ბოლოდან გამოდის 100<sup>0</sup>C მდე გაცხელებული ცომისებური მასა, რომელიც ოპერატორის მეთვალყურეობით იჭრება საჭირო მოცულობის გუნდებად და ვარდება ნიჩაბზე.

გუნდა ნიჩბიდან გადაიტანება ყალიბში და თავსდება წნეხში, თანდათანობით დაწნეხვით მასა ნაწილდება ყალიბში, იწნეხება 150 კგ/სმ<sup>2</sup> ძალით. მიღებული ნაკეთობა იღება ყალიბიდან და იდება ლითონის მაგიდაზე, სადაც ეჭრება ნაწიბურები.

გამზადებული პროდუქცია თავსდება მზა პროდუქციისათვის გათვალისწინებულ სივრცეში, ჩამოჭრილი ნაწიბურები ბრუნდება ექსტრუდერის ბუნკერში. ტექნოლოგიურ პროცესში ბრუნდება ასევე წუნდებული პროდუქციაც.

## 5. წყალმომარაგება კანალიზაცია

საწარმოში წყალი გამოიყენება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის. წყალაღება გათვალისწინებულია გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქუთაისის სერვისცენტრიდან, ხელშეკრულების საფუძველზე.

მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსო და სველი წერტილები განთავსებული იქნება იჯარით აღებული ფართის სამხრეთ ნაწილში. საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის შესაბამისად, საჭირო წყლის რაოდენობა იქნება:

$$7 \times 45 = 315 \text{ ლ/დღ.} \quad 315 \times 250 \times 10^{-3} = 78,75 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

საწარმოში წარმოიქმნება მხოლოდ სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ჩართული იქნება ქუთაისის კანალიზაციის ქსელში.

## **6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში**

როგორც მე-3 და მე-4 თავებშია განხილული, შპს „ტექნოლოგს“ დაგეგმილი აქვს მცირე წარმადობის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია, უმარტივესი ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით შეფასდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე შესაძლო ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაბინძურება; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა.

### **6.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება**

საწარმოს ფუნქციონირებისას მავნე ნივთიერებების გამოყოფის წყაროებს წარმოადგენენ:

- წერტილოვანი შედუღების პოსტი;
- მრგვალი სახეხი(სალესი) დანადგარი;
- ვერტიკალური საბურღი დანადგარი;
- კალციტის ფხვნილის განთავსება ხაროში;
- პოლიპროპილენის ექსტრუდერში დამუშავებისას.

აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესების დროს გამოიყოფა:

- რკინის ოქსიდები;
- მარგანეცი და მისი ნაერთები;
- მტვერი;
- კალციტის მტვერი;
- ორგანული მჟავები ძმარმჟავაზე გადაანგარიშებით;
- ნახშირჟანგი.

წერტილოვანი შედუღების პროცესში გამოყოფილი მავნე ნივთიერებების ხვედრითი მნიშვნელობები შეადგენს (МЕТОДИКА РАСЧЕТА ВЫДЕЛЕНИЙ (ВЫБРОСОВ) ЗАГРЯЗНЯЮЩИХ ВЕЩЕСТВ В АТМОСФЕРЕ ПРИ СВАРОЧНЫХ РАБОТАХ(ПО ВЕЛИЧИНАМ УДЕЛЬНЫХ ВЫДЕЛЕНИЙ).Санкт-Петербург2000;გვ.31;):

- რკინის ოქსიდები-2,425 გ/სთ;
- მარგანეცი და მისი ნაერთები -0,075 გ/სთ;



პრაქტიკული გამოცდილებით, შედეგების პოსტი იმუშავებს წელიწადში 500 სთ. შესაბამისად გამოყოფილი მავნე ნივთიერებების წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

– რკინის ოქსიდი:

$$G = 2.425 \times 500/10^6 = 0.0012 \text{ ტ/წელ}$$
$$M = 0.0012 \times 10^6/500 \times 3\,600 = 0.00067 \text{ გ/წმ}$$

– მარგანეცი და მისი ნაერთები:

$$G = 0.075 \times 500/10^6 = 0.00004 \text{ ტ/წელ}$$
$$M = 0.00004 \times 10^6/500 \times 3\,600 = 0.00002 \text{ გ/წმ}$$

საბურღი ჩარხების მუშაობისას მტვრის ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს 0,004კგ/სთ (ტექნიკური რეგლამენტი დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 31.12.2013 №435დადგენილებით). საბურღი წელიწადში იმუშავებს 250სთ. შესაბამისად გამოყოფილი მტვრის წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$G = 0.004 \times 250/10^3 = 0.001 \text{ ტ/წელ}$$
$$M = 0.001 \times 10^3/250 \times 3\,600 = 0.000001 \text{ გ/წმ}$$

მრგვალი სახეხი (სალესი) ჩარხის მუშაობისას მტვრის ხვედრითი გამოყოფის რაოდენობა შეადგენს 0,117 კგ/სთ (СБОРНИК МЕТОДИК ПО РАСЧЕТУ ВЫБРОСОВ В АТМОСФЕРУ ЗАГРЯЗНЯЮЩИХ ВЕЩЕСТВ РАЗЛИЧНЫМИ ПРОИЗВОДСТВАМИ. ГОСУДАРСТВЕННЫЙ КОМИТЕТ СССР ПО ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ И КОНТРОЛЮ ПРИРОДНОЙ СРЕДЫ. УДК). სახეხი წელიწადში იმუშავებს 100სთ. შესაბამისად გამოყოფილი მტვრის წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$G = 0.117 \times 100/10^3 = 0.012 \text{ ტ/წელ}$$
$$M = 0.012 \times 10^3/100 \times 3\,600 = 0.00003 \text{ გ/წმ}$$

კალციტის ფხვნილი შემოიტანება ავტოვითმცლელით და განთავსდება სამი მხრიდან შემოსაზღვრულ ხაროში. ჩამოცლის დროს ამტვერების წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$M = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times K_9 \times G \times B \times 10^6/3\,600 \text{ გ/წმ}$$

სადაც

K<sub>1</sub> - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია;

K<sub>2</sub> - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K<sub>3</sub> - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K<sub>4</sub> - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K<sub>5</sub> - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K<sub>7</sub> - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

K<sub>9</sub> - შემასწორებელი კოეფიციენტი; ავტოთვითმცლელიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2 , 10ტ\_ზე მეტის შემთხვევაში აიღება 0,1 . სხვა შემთხვევაში იგი აიღება 0,2-ს ტოლი.

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;

G - წარმადობა, ტ/სთ;

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის აიღება მეთოდიკებში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

K<sub>1</sub>- 0,05 ; K<sub>2</sub> - 0,03 ; K<sub>3</sub> - 3,0 ; K<sub>4</sub> - 0,5 ; K<sub>5</sub> - 0,1; K<sub>7</sub> - 0,4 ; K<sub>9</sub> - 0,2 ; B - 0,5 ; G - 0,016 ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,0 \times 0,5 \times 0,1 \times 0,4 \times 0,2 \times 0,5 \times 0,016 \times 10^6 / 3\ 600 = 0,00001 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,00001 \times 2\ 000 \times 3\ 600 / 10^6 = 0,0001 \text{ ტ/წელ}$$

პოლიპროპილენის ექსტრუდერზე დამუშავებისას ორგანული მჟავების ძმარმჟავაზე გადაანგარიშებით ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს 1,5გ/კგ, ხოლო ნახშირჟანგის - 1გ/კგ (ტექნიკური რეგლამენტი დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 31.12.2013 N435დადგენილებით).

ნავარაუდებია დღეში 70კგ პოლიპროპილენის გადამუშავება, რაც საათში შეადგენს 8,75 კგ. აღნიშნულის გათვალისწინებით გამოყოფის წლიური და წამური ინტენსიობები იქნება:

- ორგანული მჟავები ძმარმჟავაზე გადაანგარიშებით

$$G = 1.5 \times 8.75 \times 2\ 000 / 10^6 = 0.02625 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0.02625 \times 10^6 / 2\ 000 \times 3\ 600 = 0.0036 \text{ გ/წმ}$$

- ნახშირჟანგისათვის

$$G = 1.0 \times 8.75 \times 2\ 000 / 10^6 = 0.0175 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0.0175 \times 10^6 / 2\ 000 \times 3\ 600 = 0.0024 \text{ გ/წმ}$$

როგორც გაანგარიშებიდან ჩანს, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებების რაოდენობები იმდენად მცირეა, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე გავლენას ვერ მოახდეს, შესაბამისად ზემოქმედების ხარისხი იქნება ძალიან დაბალი.

## 6.2. ხმაურის ზემოქმედება

საამქროს მუშაობას თან დევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე.

საქართველოს მთავრობის №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დანართი 1-თ დადგენილია აკუსტიკური ნორმები საცხოვრებელ და საძილე სათავსოებში, რაც დღის პერიოდისათვის შეადგენს 35 დბა.

განსახილველ საწარმოში ხმაურის წყაროს წარმოადგენს: გილიოტინა, ბურღი, ჰიდრავლიკური წნეხები, ექსტრუდერის ძრავი, რომელთაგან მაქსიმალური ხმაურის დონე შეიძლება შეადგენდეს 80 დბა-ს.


უახლოესი საცხოვრებელი სახლები განთავსებულია საპროექტი საწარმოს დასავლეთით 64 მ და სამხრეთ-აღმოსავლეთით, 57 მ-ის დაცილებით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს საანგარიშო წერტილს.

ყველა დანადგარი განთავსებულია კაპიტალურ შენობაში, რომლის კედლები ბეტონისაა.

არსებული ლიტერატურული წყაროებით, ბეტონის კედლების ბგერითიზოლაციის ეფექტი 30-35 დბა-მდეა.

უახლოესი საცხოვრებელი სახლის მიმართულებით განთავსებულია თუნუქის საამქროს კაპიტალირი შენობა, 2,5 მ სიმაღლის კაპიტალური ღობე და მწვანე ზოლი (ნახაზი 6). ყველა ეს ელემენტი ხელს უწყობს ხმაურის დონის შემცირებას. კერძოდ მწვანე ზოლი უზრუნველყოფს შემცირებას 2-3 დეციბელით. რაც შეეხება კაპიტალურ ღობესა და შენობას, ლიტერატურული მონაცემებით (Борьба с шумом на производстве. Справочник. Е.Юдин. М.1985. გვერდი 173; 224) მათი ეფექტურობა 20-25დბა-ს შეადგენს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლში საპროექტო საწარმოს გავლენით მოსალოდნელი ხმაურის დონე შეიძლება იყოს 25 დბა-ს ფარგლებში, რაც აკმაყოფილებს მთავრობის №398 დადგენილებით დამტკიცებულ ნორმას (35დბა).



ნახაზი 6.

### **6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე**

საწარმო განთავსებულია გასულ საუკუნეში სამეწარმეო მიზნით ათვისებულ ტერიტორიაზე, წლების წინ აშენებულ შენობა-ნაგებობაში. ამდენად მისი ფუნქციონირება ლანდშაფტზე რაიმე გავლენას ვერ იქონიებს. ამასთან ობიექტი მგრძობიერე რეცეპტორებიდან არ ჩანს.

საწარმოს ფუნქციონირება გავლენას ვერ მოახდენს ბიომრავალფეროვნებაზე, რადგან მისი ექსპლუატაცია არ არის დაკავშირებული მშენებლობასთან, ახალი ტერიტორიის ათვისებასთან. არ იგეგმება ხეების მოჭრა ან ისეთი სამუშაოები, რომლებიც გავლენას მოახდენენ მცენარეთა საფარზე. ტექნოლოგიური დანადგარები განლაგებულია შენობის შიგნით, მუშაობა მიმდინარეობს მხოლოდ დღის საათებში, შესაბამისად ცხოველებზე და ფრინველებზე ვერ მოახდენს გავლენას.

ამდენად გამორიცხულია ბუნებრივ ლანდშაფტზე, ფლორასა და ფაუნაზე დამატებითი უარყოფითი გავლენის მოხდენა.

### **6.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე**

საწარმოში წყალი საჭიროა სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის, წყალაღება გათვალისწინებულია ქალაქის წყალსადენის ქსელიდან. წყალარციხვა მოხდება ქსელში დამონტაჟებული მრიცხველით, აღებული წყლის რაოდენობას აკონტროლებს წყლის მომწოდებელი კომპანია.

საწარმოში წარმოიქმნება მხოლოდ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები, რომელიც ჩაედინება კომუნალური კანალიზაციის ქსელში.

ამდენად საწარმო პირდაპირ ზემოქმედებას წყლის რესურსებზე ვერ მოახდენს.

რაც შეეხება არაპირდაპირ ზემოქმედებას, აღნიშნულის რისკიც ძალიან მცირეა, რადგან ყველა ტექნოლოგიური დანადგარი და პროცესი განთავსებული იქნება დახურულ სივრცეში.

ამდენად, საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე ზემოქმედების რისკი იმდენად დაბალია, შეიძლება ნულის ტოლად ჩაითვალოს.

### **6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები**

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების დროს ნარჩენები არ წარმოიქმნება, ნედლეული უნარჩენოდ გარდაიქმნება პროდუქციად. წუნდებული პროდუქცია თავიდან ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში.

ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია მანქანა-მოწყობილობების შეკეთების, მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო სათავსოში და ოფისში. ნარჩენს წარმოადგენს ასევე შემოზიდული ნედლეულის შესაფუთი მასალები, ლითონის მექანიკური დამუშავების დროს დარჩენილი მცირე ზომის ჯართი.

მოწყობილობების შეკეთების დროს შესაძლებელია წარმოიქმნას არასახიფათო და სახიფათო ნარჩენები, ზეთით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები ან სათადარიგო ნაწილები.

ნარჩენებით გარემოს დაბინძურება მოსალოდნელია მისი არასათანადო მართვით, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გარემოში დაყრით და გაფანტვით.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაცემის მიზნით ხელშეკრულება გაფორმდება ააიპ ქუთაისის სპეციალურ სერვისებთან, რომლის მიერაც განხორციელდება ნარჩენების გატანა და პოლიგონზე განთავსება.

საწარმოში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის შესაბამისად, შესაძლებელია წლის განმავლობაში წარმოიქმნას 1 ტ-მდე საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

არასახიფათო ნარჩენები (პლასტმასისა და ქაღალდის შესაფუთი მასალები) გადაეცემა მყარი ნარჩენების კომპანიას. წლის განმავლობაში შეიძლება წარმოიქმნას 20 კგ პლასტმასისა და 20 კგ ქაღალდის შესაფუთი მასალები.

სახიფათო ნარჩენებისათვის, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მასალებისათვის, საწარმოში გამოყოფილი იქნება სათავსო, სადაც დაიდგმება მარკირებული კონტეინერი. საწარმოში არსებული და დასამონტაჟებელი მანქანა-დანადგარების რაოდენობა იმდენად მცირეა, მათი შეკეთება-მომსახურების დროს წარმოქმნილი ნახიფათო ნარჩენის რაოდენობა არ გადააჭარბებს 10 კგ/წელ. ნარჩენების შეგროვება განხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორებს.

საწარმოში ნარჩენების მართვის წესების დაცვის შემთხვევაში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი ძალიან დაბალია.

## 6.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

საწარმოს მოსაწყობა არ არის დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოებთან, მანქანა-დანადგარების რაოდენობა და მოცულობა იმდენად მცირეა, მის შემოსაზიდად საკმარისი იქნება დაბალი ტვირთამწეობის ერთი ან ორი გადაზიდვა. ამდენად საწარმოს მოსაწყობად საჭირო არ არის სატრანსპორტო ნაკადების ორგანიზება.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, დაგეგმილი წარმადობა იმდენად მცირეა (50 ტ/წელ), ნედლეულის შემოტანას დასჭირდება 5-6 რეისი, დაბალი ტვირთამწეობის მანქანებით, რაც ორ თვეში ერთ გადაზიდვას შეადგენს. წარმოებული პროდუქცია ტერიტორიიდან გაიტანება მსუბუქი ტრანსპორტით, კვირაში ერთი გადაზიდვის ინტენსივობით. საწარმო მუშაობს დღის საათებში, შესაბამისად სატრანსპორტო გადაზიდვებიც განხორციელდება დღის ნათელ პერიოდში.

საწარმო განთავსებულია ქალაქის გარეუბანში, გზა შემოდის სულხან-საბას გამზირიდან, რომელიც უერთდება ქალაქის შემოვლით გზას. აღნიშნული გზით საწარმოს ტერიტორიაზე შესვლა შესაძლებელია ქალაქის დასახლებული პუნქტების გავლის გარეშე.

დაგეგმილი გადაზიდვების რაოდენობისა და საწარმომდე მისასვლელი გზის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

## **6.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე**

საპროექტო საწარმოს ტერიტორიიდან 5 კმ-იან რადიუსში დაცული ტერიტორიები არ მდებარეობს, შესაბამისად მასზე რაიმე გავლენას ვერ მოახდენს.

საწარმოს გავლენის ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს და აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

## **6.8. სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება**

საწარმოს მცირე მასშტაბიდან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი დიდი არ იქნება, თუმცა მაინც დადებითად აისახება არსებულ ფონზე.

საწარმოში დაგეგმილია ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის განკუთვნილი ნაკეთობების (კანალიზაციის ჭის თავები, ელ. კარადები, წყლის მრიცხველების დამცავი კარადები და სხვა) დამზადება, რომელთა წარმოება ხელს შეუწყობს სხვადასხვა პროექტების განხორციელებას, ასევე ჩაანაცვლებს ბაზარზე იმპორტით შემოტანილ ნაკეთობებს ადგილობრივი ნაწარმით, რაც ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის დადებითი სავაჭრო ბალანსისა და ბაზრის სტაბილიზაციისათვის.

როგორც წესი, ნებისმიერი ობიექტის ფუნქციონირება ასტიმულირებს და ხელს უწყობს სხვა საწარმოო ობიექტების ფუნქციონირებას, ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანია საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია.

საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (7 ადამიანი), მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

შპს ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

## **6.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე, ავარიული რისკები**

საწარმო შედის საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N381 დადგენილებით დამტკიცებულ „მომეტებელი საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების“ ჩამონათვალში, ამდენად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა

ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

ადამიანების ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის, რადგან ტექნოლოგიური პროცესის დროს არ ხდება ტოქსიკური და სახიფათო ნივთიერებების გამოყოფა-გავრცელება. საწარმოში დასაქმებულებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია შრომის უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევისა და დაწესებული რეგლამენტის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, როგორცაა დანადგარების არასწორი მართვა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოუყენებლობა, აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციები. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია საწარმოს მომსახურე პერსონალის დაზავება, სახიფათო შედეგებით.

საწარმოში გამოყენებული დანადგარები არ შეიცავს ავარიების წარმოქმნისა და გავრცელების რისკებს, თუმცა ავარიული სიტუაციები შესაძლებელია გამოწვეული იყოს უსაფრთხოების წესებისა და ტექნოლოგიური რეგლამენტების დარღვევით.

საწარმოში არ გამოიყენება საშიში ქიმიური და ფეთქებადი ნივთიერებები, მოსალოდნელი არ არის ავარიებით მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედება.

საწარმოში დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების პირობები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საწარმოს თანამშრომლებს პერიოდულად ჩატარდება ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, მუდმივად გაკონტროლდება დანადგარების ტექნიკური გამართულობა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება. აღნიშნული მინიმუმამდე შეამცირებს ავარიული სიტუაციების და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებს.

საწარმოს ექსპლოატაციის ეტაპზე უსაფრთხოების წესებისა და ტექნოლოგიური რეგლამენტების დაცვის შემთხვევაში, ავარიული სიტუაციებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი იქნება ძალიან დაბალი.

## 6.10. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. ამდენად, კუმულაციური ზემოქმედების განხილვა უნდა მოხდეს ჯამური ეფექტის მქონე ემისიების შემთხვევაში.

კუმულაციური ზემოქმედებიდან აღსანიშნავია:

- მავნე ნივთიერებათა ემისიები ატმოსფერულ ჰაერში;
- ხმაურის გავრცელება;



- ზედაპირული წყლების დაბინძურება;
- საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენებით გარემოს დაბინძურება.

განსახილველი საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ არ არის განთავსებული მსგავსი პროფილის საწარმოები, რომლიდანაც ხდება ჯამური ეფექტის მქონე ნივთიერებების გამოყოფა/გაფრქვევა. 500 მ-იან რადიუსში განთავსებულია: სადურგლო საამქრო, მეტალოპლასტმასების საწარმო, პროფილირებული თუნუქის საამქრო. მათგან პირველი-ორი ექვემდებარება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დაცვას, ხოლო თუნუქის საამქრო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №42 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად არ ექვემდებარება ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას.

არსებული და საპროექტო საწარმოების პროფილების თანახმად, მოსალოდნელი არ არის ჯამური ეფექტის ემისიები. სადურგლო საამქროდან ხის ხერხვა დამუშავების შედეგად მოსალოდნელია ხის მტვერის გაფრქვევა, მეტალოპლასტმასის ნაკეთობების საწარმოდან ორგანული მტვერის გაფრქვევა. საპროექტო საწარმოდან მოსალოდნელია: ნახშირჟანგის, ძმარმჟავას და არაორგანული მტვერის გაფრქვევა.

ამდენად, ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, როგორც 6.1 ქვეთავშია განხილული, საპროექტო საწარმო წარმადობა და გამოყოფილი მავნე ნივთიერებების ინტენსივობა იმდენად დაბალია, შენობის შიგნითაც არ გადააჭარბებს ზღვ-ს მნიშვნელობებს.

საწარმო არ ახდენს **ზედაპირული და მიწისქვეშა** წყალსარგებლობას (წყალაღება/წყალჩაშვება) ამდენად ვერ მოახდენს კუმულაციურ ეფექტს მეზობელ ობიექტებთან.

ნარჩენებით გარემოს დაბინძურების კუმულაციური ეფექტი მოსალოდნელია არსებული და საპროექტო საწარმოების მიერ ნარჩენების მართვის წესების უხეში დარღვევით.

განსახილველი საწარმო მთლიანად განთავსებულია კაპიტალურ, რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და პანელებისაგან აწყობილ შენობაში, რომლის კედლის სისქე მინიმუმ 40 სმ-ია, აღნიშნულის გამო საწარმოს ხმაური შენობის გარეთ არ ვრცელდება. ამასთან ეზო მთლიანად შემოღობილია 2,5 მ-ის ბეტონის მასიური ღობით და გარს აკრავს ხე-მცენარეების ზოლი, რაც ასევე ასრულებს ხმაურჩამხშობი ბარიერის როლს. აღნიშნულის გათვალისწინებით ხმაურის კუმულაციური ეფექტს ადგილი არ ექნება.

### **6.11. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება**

როგორც 6.1-6.10. ქვეთავებშია განხილული, დაგეგმილი საწარმოს მცირე წარმადობის, უმარტივესი ტექნოლოგიური დანადგარების გამო გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის ან იმდენად დაბალია, ვერ გაცდება საპროექტო შენობის საზღვრებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

## 7. უზნის მოწყობის და ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი

შპს „ტექნოლოგი“-ს მიერ ლითონის დამუშავების საამქროში ქვიშაპოლიმერულ ნაკეთობათა უზნის მოწყობის შედეგად გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების წინასწარი შეფასებით მიღებული დასკვნები მოცემულია ცხრილში 5.

ცხრილი 5.

№	გარემოს კომპონენტები	ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი
<b>1</b>	<b>ბუნებრივი გარემო</b>	
1.1.	ატმოსფერული ჰაერი	უმნიშვნელო უარყოფითი
1.2.	ხმაური	არაა მოსალოდნელი
1.3.	ნიადაგი	არაა მოსალოდნელი
1.4.	ბუნებრივი ლანდშაფტები ფლორა და ფაუნა	არაა მოსალოდნელი
1.5.	წყლის რესურსები	არაა მოსალოდნელი
1.6.	დაცული ტერიტორიები	არაა მოსალოდნელი
1.7.	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	არაა მოსალოდნელი
1.8.	ნარჩენების წარმოქმნა	უმნიშვნელო უარყოფითი
1.9.	კუმულაციური ზემოქმედება	არაა მოსალოდნელი
1.10	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	არაა მოსალოდნელი
<b>2</b>	<b>სოციალურ-ეკონომიკური გარემო</b>	
2.1.	ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	უმნიშვნელო უარყოფითი
2.2.	ადამიანების დასაქმება	დაბალი დადებითი
2.3.	ეკონომიკური მდგომარეობა	დაბალი დადებითი

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

# დანართი 1. საჯარო რეესტრის ამონაწერი.



მისი (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 03.05.04.134**

## ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 892020002026 - 30/12/2020 13:19:39

მომზადების თარიღი  
06/01/2021 01:24:20

### საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ქუთაისი	ვაკისუბანი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
<b>03</b>	<b>05</b>	<b>04</b>	<b>134</b>	დამუსკვებელი ფართობი: 5002.00 კვ.მ.
მისამართი: ქალაქი ქუთაისი , გამზირი სულხან-საბა (ყოფ. შენებლის ქ.), N 12 , ნაკვეთი N1				ნაკვეთის წინა ნომერი: <b>03.05.01.929</b> ;
				შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1-1906.35 კვ.მ; N2-1439.01 კვ.მ

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **882013104868** , თარიღი **13/03/2013 11:51:29**  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **19/03/2013**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის გადახდის განვალებით ნასცილობის ხელშეკრულებით წარმოსთობილი ვალდებულების გაუქმების ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი: 23/10/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ბრძანება N150 , დამოწმების თარიღი: 09/06/2015 , ქალაქი ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
- ნასცილობის ხელშეკრულება გადახდის განვალებით N130233860 , დამოწმების თარიღი: 12/03/2013 , ნოტარიუსი თ. ჩაფიძე
- უძრავი ნივთის გადახდის განვალებით ნასცილობის ხელშეკრულებით წარმოსთობილი ვალდებულების გაუქმების ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი: 23/10/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:  
შპს სკელ საქართველო , ID ნომერი: 401950377

მესაკუთრე:  
შპს სკელ საქართველო

აღწერა:

### იპოთეკა

- 1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882017495361 თარიღი 09/06/2017 15:33:48
- უფლების რეგისტრაცია: თარიღი 19/06/2017
- 2) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892020002026 თარიღი 30/12/2020 13:19:39
- უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/01/2021
- საგადასახლო გირაუნობა:
- რეგისტრირებული არ არის
- აპოთეკარი სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869;  
საგანი:მიწის დამუსტრებული ფართობი: 5002.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1-1906.35,კვ.მ; N2-1439.01,კვ.მ.;
- აპოთეკის ხელშეკრულება N CAH000221603, დამოწმების თარიღი16/06/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- აპოთეკარი სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869;  
საგანი:მიწის დამუსტრებული ფართობი: 5002.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1-1906.35,კვ.მ; N2-1439.01,კვ.მ.;
- აპოთეკის ხელშეკრულება NCAH000465028, დამოწმების თარიღი:30/12/2020 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,

### სარგებლობა

- განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882012606275 თარიღი 29/08/2012 18:05:04
- უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/09/2012
- ცადალა/აკრძალვა:
- რეგისტრირებული არ არის
- მოვალეთა რეესტრი:
- რეგისტრირებული არ არის
- გამქირავებელი შპს ლს და თი 212865194;  
დამქირავებელი შპს ჯეოსელი 203841940;  
საგანი:შენობა-ნაგებობა 1906.35 კვ.მ-დან შენობის სახურავზე 50.00 კვ.მ; ვადა:7 წელი;
- ქირაუნობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი29/08/2012, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

### ვალდებულება

"ფინიკრი პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციის, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტო დარბეულების ქონების სამჯერად მიღების სამშობლო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფინიკრი პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვადებულების შეკრულებულია წარმოადგენს საგადასახადო ხაზინაგადაღწევის, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნაწილობრივი გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერაციაზელ სარეგისტრაციო სამსახურში, აუციაციის სახლება და სააგენტოს ადგილობრულ პარებშიან;
- ამონაწერში გვენიკური ხარების აღმომჩნის შემთხვევაში დავიკავშირდით: 2 405405 ან პირდავლ შევსები განაყბადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია აუციაციის სახლას ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელია მხრიდან უკანონო ქმელების შემთხვევაში დავიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენიყის საინფორმაციო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერები ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)

## დანართი 2. იჯარის ხელშეკრულება.

### იჯარის ხელშეკრულება

N- 01/07/2021

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2021 წლის 1 ივლისს შემდეგ მხარეებს შორის:

1. შპს "სტილ საქართველო", საიდენტიფიკაციო კოდი 401950377; იურიდიული მისამართი: ქუთაისი სულხან-საბას 10, ფაქტობრივი მისამართი: ქუთაისი სულხან-საბას 10, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ფრუიძის სახით შემდგომში „მოიჯარე“-დ წოდებული.

2. შპს "ტექნოლოგი", საიდენტიფიკაციო კოდი 412760196; იურიდიული მისამართი: ქუთაისი, სულხან-საბას გამზ. N 33 ბ. 7, ფაქტობრივი მისამართი: ქუთაისი სულხან-საბას 12, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ფრუიძის სახით შემდგომში „მოიჯარე“-დ წოდებული.

მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე (შემდგომში ხელშეკრულებად წოდებული) ხელის მოწერით ვთანხმდებით შემდეგზე:

#### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მეიჯარე“ „მოიჯარე“-ს დროებით სარგებლობაში გადასცემს „მეიჯარე“-ს საკუთრებაში არსებულ ქონებას, რომელიც შემდგომში მოიხსენიება, როგორც „იჯარის საგანი“, ხოლო „მოიჯარე“, „იჯარის საგნის“ სარგებლობისათვის „მეიჯარე“-ს ქირის სახით გადაუხდის ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრულ თანხას;

1.2. „იჯარის საგანს“ წარმოადგენს: უძრავი ქონება მდებარე მისამართზე ქ. ქუთაისი, სულხან საბას გამზირი #12 საკადასტრო კოდი 03.05.04.134 სულ ფართი 750კვ/მ. მასზე არსებული მანქანა დანადგარებით იხ, (დანართი 1)

1.3. „მოიჯარე“-მ „იჯარის საგანი“ უნდა გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ;

#### 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

##### 2.1. „მოიჯარე“-ს უფლება აქვს:

2.1.1. მიიღოს „იჯარის საგანი“ თავის მფლობელობაში და ისარგებლოს „იჯარის საგნით“ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

2.1.2. მოითხოვოს „მეიჯარე“-საგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება;

2.1.3. მოახდინოს „იჯარის საგნის“ დაცვა;

2.1.4. ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამთავრების შემდეგ სხვებთან შედარებით უპირატესად მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების განახლება.

2.1.5. „მეიჯარე“-ს მიერ „მოიჯარე“-სთვის „იჯარის საგნის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში არ გადაცემის შემთხვევაში, მოითხოვოს „იჯარის საგნის“ დაყოვნებით გადაცემით განცდილი ზიანის ანაზღაურება, ან თავის მხრივ უარი თქვას

მოიჯარე 

მეიჯარე 

ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

2.1.6. „იჯარის საგნის“ მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე, განაგრძოს იჯარით აღებული „იჯარის საგნით“ სარგებლობა.

2.1.7. „მეიჯარე“-სთან შეთანხმების გარეშე, „იჯარის საგნის“ დაუზიანებლად, თავისი ხარჯით მოახდინოს „იჯარის საგნის“ აღჭურვა ისეთი საგნით, რომელიც მიმართული იქნება „იჯარის საგნის“ გაუმჯობესებისაკენ.

## 2.2. „მოიჯარე“ ვალდებულია:

2.2.1. დროულად გადაიხადოს „იჯარის საგნი“-თ სარგებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა.

2.2.2. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, მოუაროს „იჯარის საგანს“ და ყოველი ღონე იხმაროს იჯარის საგნის იმ მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რაც მას გააჩნდა მოიჯარესთვის გადაცემის დროს, ხოლო ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას დროულად დაუბრუნოს „მეიჯარე“-ს იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მისგან მიიღო, „იჯარის საგნის“ ნორმალური ცვეთის მხედველობაში მიღებით.

2.2.3. თავისი მიზეზით „იჯარის საგნით“ სარგებლობაში ხელის შეშლის შემთხვევაში გადაუხადოს „მეიჯარე“-ს ხელშეკრულების მესამე მუხლით განსაზღვრული ქირა.

2.2.4. გადაიხადოს „იჯარის საგანით“ სარგებლობისათვის საჭირო ყოველგვარი კომუნალური მომსახურების გადასახადი, მათ შორის წყლით, ელექტროენერგიით, გაზით, აგრეთვე გადაიხადოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ დაწესებული მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის;

2.2.5. გაუფრთხილდეს მეიჯარეს მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ქონებას და დაიცვას მათი ექსპლუატაციის წესები, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემდეგ დაუბრუნოს მეიჯარეს;

2.2.6. „მეიჯარის“ წინასწარი თანხმობის გარეშე არ გადასცეს მესამე პირებს „იჯარის საგანი“ ქვეიჯარის წესით და არ დაუშვას მესამე პირების მიერ იჯარის საგნის გამოყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის.

## 2.3. „მეიჯარე“-ს უფლება აქვს:

2.3.1. „იჯარის საგნის“ შემოწმების მიზნით, „მოიჯარის“ თანდასწრებით შევიდეს იჯარით გადაცემული „იჯარის საგნის“ განთავსების ფართში,

2.3.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე თავისი ინიციატივით მოშალოს ხელშეკრულება, თუ „მოიჯარე“ „მეიჯარის“ წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად, „იჯარის საგანს“ მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას.

2.3.3. მოითხოვოს „მოიჯარისაგან“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება.

## 2.4. „მეიჯარე“ ვალდებულია:

2.4.1. „მოიჯარე“-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის, გადასცეს უფლობრივად და ნივთობრივად უნაკლო „იჯარის საგანი“.

მოიჯარე



მეიჯარე

2



2.4.2. არ დაუშვას თავისი ბრალეული მოქმედებით რაიმე ხელისშემშლელი გარემოებების დადგომა.

2.4.3. არ ჩაერიოს „მოიჯარე“-ს საქმიანობაში.

### 3. საიჯარო ქირა და მისი გადახდის წესი

3.1. „იჯარის საგნის“ სარგებლობისათვის განკუთვნილი ყოველთვიური საიჯარო ქირა, რომელიც „მოიჯარე“-მ „მეიჯარე“-ს უნდა გადაუხადოს შეადგენს 750 (შვიდას ორმაცდაათი) ლარს

3.2. ხელშეკრულების 3.1. მუხლით განსაზღვრული საიჯარო გადასახადი, „მოიჯარე“-მ „მეიჯარე“-ს უნდა გადაუხადოს, ყოველი საანგარიშო პერიოდის (თვე) დამთავრებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში

3.3. ხელშეკრულების 3.1. მუხლით განსაზღვრული საიჯარო გადასახადის გადახდა წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

### 4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტა

4.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 წლის ვადით

4.2. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს:

4.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

4.2.2. “მოიჯარის” ინიციატივით, თუ “მოიჯარე” თავისი განზრახვის შესახებ, ხელშეკრულების შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე წერილობით შეატყობინებს “მეიჯარეს”, ამ შემთხვევაში “მოიჯარეს” არ ეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა.

4.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

4.2.4. კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

### 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 6. ხელშეკრულების შეცვლა

6.1. ხელშეკრულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მხარეების სრული შეთანხმების შედეგია და ენიჭება უპირატესობა მხარეებს შორის მანამდე არსებულ, როგორც წერილობით, ისე ზეპირ წინადადებებთან, მოლაპარაკებებთან და შეთანხმებებთან შედარებით.

6.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ იგი გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ყველა ზეპირი შეთანხმება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა.

### 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, რომლებსაც გააჩნია წინასწარ

მოიჯარე \_\_\_\_\_

მეიჯარე \_\_\_\_\_ 3



გაუთვალისწინებელი ხასიათი და რომელიც ხელს უშლის ან აყოვნებს რომელიმე მხარის მიერ მის ვალდებულებათა შესრულებას და რომლის აღკვეთაც სცილდება ამ მხარის გონივრულ შესაძლებლობას და მიუხედავად ამ მხარის მიზანშეწონილი მოქმედებისა, შეუძლებელია იქნეს აღკვეთილი, თავიდან აცილებული ან გამოსწორებული. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, სახელმწიფოს მიერ გამოცემული აქტით და სხვა.

7.2. მხარე, რომელიც აპელირებს ფორს-მაჟორულ გარემოებაზე ვალდებულია აცნობის მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის (მათ შორის ასეთი გარემოებების შეწყვეტის) შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს აღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის შესაბამისად.

## 8. სხვა დებულებები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ყველა ის საკითხი რაც დარეგულირებული არ არის ხელშეკრულებით უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოს სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობით. ასეთი შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა, გაგზავნილია დაზღვეული წერილით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, თუ მეორე მხარე ხუთი დღით ადრე არ შეატყობინებს საკუთარი მისამართის შეცვლის შესახებ.

8.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად.

მხარეთა რეკვიზიტები

## 9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შპს სტილ საქართველო 401950377

შპს ტექნოლოგი 412760196

დირექტორი: დავით ფრუიძე

დირექტორი: ლევანი ბერეჟიკიძე

მოიჯარე   


შეიჯარე  4